ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 7

ქ. ახმეტა 2 აპრილი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ

საკრებულოს წევრები: თ. წითელაური, რ. ბაღაკაშვილი, ზ. ჭიჭიკლიშვილი, თ. ბოდაველი, ა. მექვევრიშვილი, თ. ბორჩაშვილი, ა. ბუღრიძე, ა. შათირიშვილი, თ. მგელიაშვილი, მ. ალხანაშვილი, ლ. გოგოთიძე, მ. კოხტაშვილი, გ. ხუცურაული, ვ. სუხოშვილი, გ. ხადიშვილი, რ. გახუაშვილი, ი. მრელაშვილი, ა. ხიზანაიძე, ლ. ითიურიძე, დ. იმერლიშვილი, ნ. ალავიძე, ლ. უძილაური, შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, დ. ავაზაშვილი, დ. ახალკაციშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი.

სხდომა გაიხსნა 10 ⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

24 - მომხრე

1 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი

3 - მონაწილეობა არ მიიღო - გ. მაისურაძე, თ. ბოდაველი, დ. ახალკაციშვილი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი.

საკითხი - ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;- თან ერთვის ოქმს.

აზრი გამოთქვეს:

თ. ბოდაველი დაინტარესდა, თუ რატომ ვერ ხერხდება №2 ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება, როდის დაიწყებს ფუნქციონირებას აღნიშნული ბაღი.

მომხსენებელმა უპასუხა, რომ ბაღის რეაბილიტაცია დასრულებულია და ექსპერტიზის პასუხის შემდგომ, უახლოეს მომავალში განახლებული სახით ამოქმედდება.

სხდომა დატოვა ორმა წევრმა: ლევან გოგოთიძემ, მაკა ალხანაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

22 - მომხრე

4 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, დ. ახალკაციშვილი, გ. მაისურაძე, თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №11 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 11^{30} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი